საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 3 თებერვალი. 2021 წ. №23 (9142) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

პარლამენტის კარი კვლავ ღია აქვს ყველა იმ მანდატიანი ოპოზიციონერისთვის, ვინც მართლა ფიქრობს ქვეყანასა და ხალხზე!

სალომე ზურაბიშვილი: ოპოზიციას დიდი პასუხისმგებლობა აქვს ამომრჩევლის წინაშე, რომელსაც დაჰპირდა გამარჯვებას და არა ქუჩაში დგომას. დაჰპირდა საპარლამენტო ტრიბუნიდან ალტერნატიული პოლიტიკური პოზიციების წარდგენას და მათი კანონმდებლობით და არა ბოიკოტით შესრულებას.

იხ. 2 გვ.

დავით მირცხულავა: ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში, ენგურჰესი დამატებით 0.5 მლრდ კვტ/სთ უიაფეს ელექტროენერგიას მოგვცემდა!

ჰესებს არავისთვის ზიანი არ მოუტანია!

4



რიკოთის ავტობანზე 2000 ჩვენი მოქალაქე მუშაობს...

ეროვნული აკადემია – თავად დიდი აკადემიკოსი

6

7

საქართველოს მეცნიერება მეცნიერებათა აკადემიის 80 წლისთავზე

წინ წყალი, უკან მეწყერი!..

9

1994 წლიდან დღემდე 28 ტრილიონი ტონა ყინული გადნა

„შინდისი“ ოსკარისთვის იბრძოლებს

12

პრეზიდენტის სამართლიანი მიმართვა ოპოზიციის საბოლოო გაფრთხილებაც არის!

როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი, მოგმართავთ ყველას, ოპოზიციის და მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, ასევე, საზოგადოებას, რომელიც გვისმენს

ამ ბოლო ხანს, საქართველო გადავიდა სრულ საპარლამენტო სისტემაზე, უკანასკნელი არჩევნებით კი, საზოგადოებამ აირჩია მრავალპარტიული პარლამენტი, რაც დემოკრატიულობის ახალ საფეხურს წარმოადგენს.

დღეს ქვეყანას ამ სისტემის სრულყოფილად ამოქმედება სჭირდება! დრო აღარ ითმენს! პანდემიისგან წარმოქმნილი კრიზისი მოითხოვს ეფექტიან, სწრაფად მოქმედ პარლამენტს და ყველასგან საქმიან მიდგომას! პოლიტიკური დაპირისპირება ვერ პასუხობს ამ რთულ გამოწვევებს! შიგნით ქვეყანაში, როგორც საერთაშორისო დონეზე, ერთიანობის და სოლიდარობის დრო დგება!

ამ მნიშვნელოვან ეტაპზე ოპოზიციას ეკისრება დიდი როლი: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი ძლიერი არასოდეს ყოფილა პარლამენტში — 60 მანდატი 150-დან, 8 ოპოზიციური პარტია.

არასოდეს ჰქონია ასეთი მრავალფეროვანი და რეალური ბერკეტები: ფრაქციების შექმნა, სხვადასხვა თანამდებობების დაკავება, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებები: როგორც მაგალითად მინისტრების ინტერპელაციის წესით დაბარება, საგამოძიებო კომისიის შექმნა, მუდმივმოქმედ სათათბირო საბჭოებში, ნდობის ჯგუფში და საპარლამენტო დელეგაციებში მონაწილეობა. უარის თქმა ასეთ პოლიტიკურ ბერკეტებზე და რეალურ გავლენაზე, ცოტა არ იყოს, პოლიტიკურად გაუგებარია, მით უმეტეს, ახლადშექმნილი პარტიებისგან.

ამ როლთან ერთად ოპოზიციას დიდი პასუხისმგებლობა აქვს ამომრჩევლის წინაშე, რომელსაც დაჰპირდა გამარჯვებას და არა ქუჩაში დგომას. დაჰპირდა საპარლამენტო ტრიბუნიდან ალტერნატიული პოლიტიკური პოზიციების წარდგენას და მათი კანონმდებლობით და არა ბოიკოტით შესრულებას.

ოპოზიციის ამომრჩევლის უმრავლესობა მხარს უჭერს სწორედ ასეთ აქტიურ ჩართულობას და მანდატების ამოქმედებას. დღეს ამომრჩევლის ნდობა პარტიებისა და სისტემის მიმართ სასწორზე დგას.

უმრავლესობის პასუხისმგებლობაც დიდია: მას არანაკლებ სჭირდება ოპოზიცია, რომელიც გადაწყვეტილებებს კითხვის და კრიტიკის ქვეშ დააყენებს - ეს დემოკრატიული სისტემისთვის აუცილებლობაა! უმრავლესობის მოქმედებას ოპოზიციის გარეშე, შეცდომის დაშვების მეტი რისკი ახლავს. სამაგიეროდ, საპარლამენტო დებატის რეჟიმი, თუნდაც მძაფრი და ზოგჯერ დაუნდობელი, არა მხოლოდ არსებული კრიზისის მართვისთვის გვჭირდება, არამედ არანაკლებად მნიშვნელოვანია ჩვენი მთავარი გამოწვევების დასაძლევად, როგორიც არის კონფლიქტების მოგვარება, განვითარების ახალი გრძელვადიანი გეგმა, ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ჩასატარებელი რეფორმების დაგეგმვა. ეს ამბიციური მიზნები მხოლოდ ერთმანეთის მოსმენით და ერთიანი ძალებით თუ მიიღწევა!

მინდა, გითხრათ, რომ ახლახან ბრიუსელში ჩემი ვიზიტის დროს, სწორედ ასეთი მკაფიო გზავნილი მოვისმინე. არავის გამოუთქვამს აზრი, რომ საქართველოს სჭირდებოდეს ან ახალი არჩევნები, ან ქუჩის პროცესები, ან კიდევ გაუთავებელი დაპირისპირება და პოლარიზაცია. პირიქით, ჩვენგან ყველა ელოდება მეტ სტაბილურობას, მეტ თანმიმდევრულობას და ერთსულოვნებას მთავარი მიზნების მისაღწევად.

ამის მომტანი უნდა იყოს მრავალპარტიული პარლამენტი, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენმა საზოგადოებამ აირჩია.

ამიტომ მინდა, დღეს ორივე მხარეს მოვუწოდო გონივრული გადაწყვეტილებებისკენ, რომელიც ქვეყნისათვის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯი იქნება და არა ვიწრო ინტერესებზე გათვლილი:

— ოპოზიციას, რათა დაფიქრდეს, პატივი სცეს ამომრჩეველს და მათი მანდატით მიცემული დავალება შეასრულოს.

— უმრავლესობას, რათა არ მიეცეს ერთპარტიული მართვის ცდუნებას, არ მიიღოს მანდატების შეწყვეტის ნაადრევი გადაწყვეტილება და მისცეს დრო ოპოზიციას სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

ეს არის ჩვენი საზოგადოების მოთხოვნა და მოლოდინი. მას ჩვენ ყველამ პატივი უნდა ვცეთ და გავუფრთხილდეთ!

პარლამენტმა ოპოზიციონერ დეპუტატებს უფლებამოსილება არ შეუწყვიტა!

პარლამენტებმა 51 ოპოზიციონერი დეპუტატის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მათი უფლებამოსილება არ შეაჩერა. კენჭისყრაში „ქართული ოცნება“, „ევროპელი სოციალისტები“ და „მოქალაქეები“ მონაწილეობდნენ. რეგლამენტის მიხედვით, კანონმდებლებმა თითოეული დეპუტატის განცხადება ინდივიდუალურად განიხილეს.

მანამდე „გირჩმა“ „ქართულ ოცნებას“ მოუწოდა, არ დაუჭიროს მხარი ოპოზიონერი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს. როგორც „გირჩის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ოპოზიციისთვის მანდატების გაუქმება მოლაპარაკების პროცესს აზრს დაუკარგავს და კრიზისი, შესაძლოა, შეუქცევადი გახადოს.

20-მდე ოპოზიციონერ დეპუტატს პარლამენტში შემოსვლა სურს!

ირაკლი კობახიძის თქმით, პარლამენტში შესვლა კიდევ 20-მდე დეპუტატს სურს. ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„გვაქვს ინფორმაცია, რომ დამატებით 20-მდე ოპოზიციონერ დეპუტატს სურს პარლამენტში შემოსვლა, თუმცა, შანტაჟისა და ბულინგის გამო ვერ ახერხებენ დღემდე ამ ნაბიჯის გადადგმას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ დეპუტატებს მივცეთ საპარლამენტო მანდატების შენარჩუნების კიდევ ერთი შესაძლებლობა“, — განაცხადა კობახიძემ. საპარლამენტო უმრავლესობა 51 ოპოზიციონერი დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს.

გია ვოლსკი: ხელახალი არჩევნების სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ საგამოძიებო კომისია ქმნის!

ხელახალი არჩევნების ჩატარების სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ საგამოძიებო კომისია ქმნის, როცა ამაში მონაწილეობა არ გინდა, ეს მიუთითებს, რომ ზურაბ ჯაფარიძის განცხადება მართალია, — ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა. მისივე თქმით, ზურაბ ჯაფარიძის განცხადება სიმართლეს შეესაბამება და ოპოზიცია არასდროს აპირებდა არჩევნების გზით სიარულს.

„ამ საკითხის მიმართ საერთაშორისო პარტნიორების დამოკიდებულება არ არის განპირობებული მხოლოდ იმ მონაცემებით, რასაც ჰქვია საამართლიანი არჩევნები. ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს და ევროკავშირს სტრატეგიული ინტერესი აქვთ და ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ. ერთი მხრივ ცნობილი გამყალბებლების მხრიდან საუბარია გაყალბებაზე და მეორე მხრივ არის კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებები. რომელს დავუჯეროთ, რა ვქნათ, საით წავიდეთ? მე კონკრეტულ პიროვნებას ან რომელიმე ჩემს კოლეგას რომც გვინდოდეს, რომ მოდი, მართლაც ჩავატაროთ ახალი არჩევნები და ვნახოთ, ვინ მოიგებს, ამის სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ საპარლამენტო საგამოძიებო კომისია ქმნის. როცა არ გინდა ამ კომისიაში მონაწილეობა და უარს აცხადებს კონსტრუქციულ ნაბიჯზე, ეს უკვე მიუთითებს, რომ ზურაბ ჯაფარიძის განცხადება ნამდვილია, რომ ისინი არასდროს აპირებდნენ არჩევნების გზით სიარულს. არა მხოლოდ ზურაბ ჯაფარიძის, სააკაშვილსაც რომ მოუსმინოთ, 2014 წლიდან სწორედ ამას გაიძახის. ეს არის რეალობა“, — განაცხადა ვოლსკიმ.

წულუკიანი ელისაშვილს: თუ გაყალბდა, აქ რას აკეთებთ?!

ნიკა გვარამიას ტელეფონის ნომერს ჩაგაწერინებთ, დაურეკეთ და რასაც გიკარნახებთ, იმაზე ისაუბრეთ, არჩევნები თუ გაყალბდა, აქ რას აკეთებთ?!, — ასე მიმართა განათლების კომიტეტის თავმჯდომარე თეა წულუკიანმა ოპოზიციონერ დეპუტატ ალეკო ელისაშვილს, რომელმაც პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ გამოაცხადა საკუთარი ტელეფონის ნომერი.

„პირველ რიგში, მინდა, შემომატებულ დეპუტატებს მივულოცო დეპუტატის მანდატზე პასუხისმგებლობის აღება და პარლამენტში შემობრძანება. ბატონო ალეკო, თქვენ აქ გვაჩვენეთ დემოკრატიის მაღალი სტანდარტი, როგორ უნდა იურთიერთო ხალხთან და ნომერი ჩაგვაწერინეთ. მინდა, ჩემი ნომერი ჩაგაწერინოთ. ეს არის 577 20 12 12 და იქნებ მოინიშნოთ, ხალხმაც რომ იცოდეს. ოღონდ, ეს ჩემი ნომერი არ არის, ნიკა გვარამიას ნომერია. დაურეკეთ ხოლმე და ის რასაც გიკარნახებთ, გაყალბდა თუ არა არჩევნები, იმაზე ისაუბრეთ ამ პარლამენტში. თუ არჩევნები გაყალბდა, აქ რას აკეთებთ — ეს რიტორიკული კითხვა იყო“, — მიმართა წულუკიანმა ელისაშვილს.

ალეკო ელისაშვილი: ...მემორანდუმს უნდა შემოუერთდეს დანარჩენი ოპოზიცია

მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილებაა, — ასე შეაფასა პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა მმართველი პარტიის პოზიცია, რომლის თანახმადაც „ქართული ოცნება“ ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის მანდატების გაუქმებისგან თავს იკავებს.

„3 თვეა, ვლაპარაკობთ, ვინ შევა, ვინ გამოვა, აბა, ხალხს ვკითხოთ, სინამდვილეში ვის რა ადარდებს. მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს და მემორანდუმს უნდა შემოუერთდეს დანარჩენი ოპოზიცია. ცოტა მეტი პასუხისმგებლობითა და მეტი გამბედაობით ყველა თავის ამომრჩეველს დაელაპარაკოს. ამომრჩევლებს ის ადარდებთ, ვინ შემოვა და ვინ არა? უმუშევრად არის მთელი საქართველო დარჩენილი“, — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

გიორგი გახარია: მნიშვნელოვანია EBRD-ისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობა იმ ხმამაღალი განაცხადისთვის, რომელიც საქართველომ უნდა გააკეთოს

EBRD საქართველოს განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის ეს ვირტუალური ვიზიტი საქართველოში და მის გუნდთან შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ EBRD-ის ახალ პრეზიდენტთან ოდილ ღენო-ბასოსთან ონლაინ-ფორმატში შეხვედრისას განაცხადა.

გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის ვიზიტის დიდ მნიშვნელობას, განსაკუთრებით კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის ეს ვირტუალური ვიზიტი საქართველოში და მის გუნდთან შეხვედრა არის უაღრესად მნიშვნელოვანი. EBRD საქართველოს განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია. ვისაუბრეთ იმ პროექტებზე, რომლებსაც EBRD უკვე ახორციელებს საქართველოში, როგორც ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ასევე ენერგოსექტორის, სტრუქტურული რეფორმების და ბევრი სხვა მიმართულებით. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ, რამდენად მნიშვნელოვანია EBRD-ისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობა იმ ხმამაღალი განაცხადისთვის, რომელიც საქართველომ უნდა გააკეთოს 2024 წლის ბოლოს ევროკავშირში სრულფასოვანი წევრობის შესახებ და EBRD არის ის ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რათა ჩვენ მივაღწიოთ ამ მიზანს“, — განაცხადა პრემიერმა. გიორგი გახარიას შეფასებით, უმნიშვნელოვანესია EBRD-ის დახმარება კერძო სექტორისთვის.

„მოგეხსენებათ, კერძო სექტორი არის საქართველოს ეკონომიკის განვითარების და სამუშაო ადგილების შექმნის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, მადლობა გადავუხადეთ ჩვენს კოლეგებს ასეთი დახმარებისთვის. უმნიშვნელოვანესია ის სფეროები, რომლებზეც ჩვენ დღეს ვისაუბრეთ — ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, სტრუქტურული რეფორმები და რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით თანამშრომლობას გავაგრძელებთ. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუმრებს და გამოვთქვა იმედი, რომ, ახალი საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგიული პროგრამა შემდგომი 5 წლის განმავლობაში, რომელზეც EBRD-მა მუშაობა უკვე დაიწყო, იქნება ისეთივე წარმატებული, როგორიც მიმდინარე პროგრამა იყო“, — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

საქართველოში შემოსვლა 37 ქვეყნის არავაქცინირებულ მოქალაქეს შეუძლია

1 თებერვლიდან თვითიზოლაციის ვალდებულება გაუქმდა არავაქცინირებული იმ ვიზიტორებისა, რომლებიც არიან — ევროკავშირის, ისრაელის, შვეიცარიის, ნორვეგიის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, საუდის არაბეთის, კატარის, არაბთა გაერთიანებული საემიროების და ბაჰრეინის მოქალაქეები ან რეზიდენტები და საქართველოში საჰაერო გზით შემოვლენ.

29 იანვარს გამართული საკოორდინაციო ჯგუფის სხდომის შემდეგ, ნაკლები ქვეყანა გაჟღერდა, მთავრობის №139 განკარგულებაში კი შედარებით მეტი ქვეყანა მოხვდა, რომელთაც აღნიშნული გამარტივებული რეგულაცია ეხებათ.

მაშ ასე, დღეიდან უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე საქართველოში შემოსვლისას თვითიზოლაციის მოთხოვნა არ ვრცელდება თუ:

ა) ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეზე, ნებისმიერი ქვეყნიდან გამომგზავრებისას, რომელიც წარადგენს ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის ჩატარების (ორი დოზა) დამადასტურებელ დოკუმენტს;

ბ) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ისრაელის სახელმწიფოს, შვეიცარიის კონფედერაციის, ნორვეგიის სამეფოს, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, საუდის არაბეთის სამეფოს, კატარის სახელმწიფოს, არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და ბაჰრეინის სამეფოს მოქალაქეებსა და ამავე ქვეყნების ბინადრობის (ცხოვრების) უფლების მქონე პირებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან ამავე ქვეყნებიდან (მათ შორის, ტრანზიტული მგზავრობისათვის მესამე ქვეყნების გამოყენების შემთხვევაშიც).

აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოში, მათ შორის ტრანზიტულად შემოსვლის შემთხვევაში, მოქალაქე ან რეზიდენტმა ვიზიტორებმა უნდა წარადგინონ 72-საათიანი ვალიდურობის მქონე PCR-ტესტის ნეგატიური პასუხი და ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ, მესამე დღეს, საკუთარი სახსრებით სავალდებულოდ ჩაიტარონ PCR-ტესტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირებს აქვთ უკანასკნელი 14 დღის განმავლობაში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მოგზაურობის ისტორია და ექვემდებარებიან 12 დღიან საკარანტინე სივრცეში გადასვლას.

ასევე, მათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთამდე პირებმა სპეციალური ელექტრონული ანკეტა უნდა შეავსონ, სადაც უნდა მიუთითონ ბოლო 14 დღის მოგზაურობის ისტორია, საქართველოში ვიზიტის დროს განსაზღვრული ადგილსამყოფელი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.

AVIANEWS.GE

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი წერილი

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრებმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს ჯოზეფ ბორელს, ევროპული სამეზობლოს პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარს ოლივერ ვარჰეისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს ერთობლივი წერილით მიმართეს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ასოცირებულ პარტნიორებთან გაღრმავებული თანამშრომლობის შესახებ.

სამი ქვეყნის მინისტრის ძირითადი გზავნილია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობამ ამბიციურ პარტნიორებს უნდა გაუხსნას ევროკავშირთან მეტად დაახლოების, პოლიტიკური დიალოგის გაძლიერების, ეკონომიკური და სექტორული ინტეგრაციის ახალი შესაძლებლობები, მათ შორის ევროკავშირის შიდა ბაზარზე ეტაპობრივი და სრული ინტეგრაცია.

წერილში მხარეები აღნიშნავენ, რომ საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ აიღეს მტკიცე ვალდებულება ასოცირების შეთანხმებების მეშვეობით, ხელი შეუწყონ ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს. **„ასოცირებული პარტნიორების საერთო გზავნილი იყო და არის — რომ აღმოსავლეთის პარტნიორობამ ყველაზე მეტად დაინტერესებულ და ერთგულ პარტნიორებს თანამშრომლობის ახალი ჰორიზონტები უნდა გაუხსნას, რაც მათ ევროკავშირთან დაახლოებას შეუწყობს ხელს პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების, ეკონომიკური და სექტორული ინტეგრაციის თვალსაზრისით. აღმოსავლეთ პარტნიორობის წარმატების და აქტუალურობის შენარჩუნების მიზნით, პარტნიორობა უკეთესად უნდა მოერგოს ყველა პარტნიორის ახალ რეალობებსა და საჭიროებებს“** — ნათქვამია მიმართვაში.

გაფორმდა მემორანდუმი

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასა და სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, — ამის შესახებ ინფორმაციას ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მემორანდუმს ხელი ჟვანიას სკოლის დირექტორმა ქეთევან ჯაყელმა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დირექტორმა თეა ნიკოლაშვილმა მოაწერეს.

დოკუმენტი მიზნად ისახავს ერთობლივი პროფესიული და სასწავლო-სატრენინგო საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. მემორანდუმის ფარგლებში, ასევე მოხდება კიბერ ჰიგიენის კურსის — „სახელმწიფო ენისა და ინტეგრაციის საკითხებში ტრენერთა მომზადება-გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამის“ მსმენელებისთვის უსასყიდლოდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნული კურსი კიბერუსაფრთხოების ბიუროსთან თანამშრომლობით შემუშავდა და MOODLE-ის პლატფორმაზეა ატვირთული. ქეთევან ჯაყელის თქმით, ჟვანიას სკოლა პროგრამების განვითარების მიზნით მუდმივად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ზაალ ანჯაფარიძე: სააკაშვილი აღიარებს, რომ სწორედ ის მოურიგდა აზერბაიჯანულ მხარეს!..

ზაალ ანჯაფარიძე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 2007 წლის ინტერვიუს ეხმაურება, რომელიც დავით გარეჯს ეხება. შესაბამისი პოსტი ექსპერტმა Facebook-ზე გამოაქვეყნა. მისი აზრით, ინტერვიუ, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სიუჟეტში გამოიყენეს, საკმაოდ საფუძვლიან ეჭვს აჩენს, რომ სააკაშვილი უშუალოდ იყო ჩართული ამ პროცესში და სასაზღვრო ტერიტორიების გასხვისების პასუხისმგებლობა მასზე უფრო მეტად მოდის, ვიდრე კომისიის წევრებზე, რომლებიც, როგორც ფარული ჩანაწერებიდანაც ჩანს „ზემოდან“ მიღებულ დავალებებს ასრულებდნენ.

„ამ ინტერვიუში სააკაშვილი აღიარებს, რომ სწორედ ის მოურიგდა აზერბაიჯანულ მხარეს უდაბნოს მთის თხემზე არსებულ სტრატეგიული სიმაღლის გადაცემის თაობაზე, რომელიც მისივე სიტყვებით აზერბაიჯანს „ძალიან სჭირდებოდა.“ შედეგი დადგა ის, რომ ამ თხემის გადაღმა მდებარე ჩიჩხიტურის კოშკი და უდაბნოს ტერიტორიაზე განთავსებული სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანული მხარის კონტროლქვეშ აღმოჩნდა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, სწორედ 2007 წლიდან, ანუ ამ „მორიგების,“ თუ რაც შეიძლება ვუწოდოთ, შემდეგ, დავით გარეჯთან მანამდე არსებული „სტატუს-ქვო“ იცვლება, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები იკავებენ ამ „სტრატეგიულ სიმაღლეს“ და ქართველ სასულიერო პირებს უკვე ეკრძალებათ სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს მონაკვეთზე გადაადგილება.

საბედნიეროდ, ამ ჩვენთვის საზიანო „მორიგების“ ფორმალიზაცია ვერ მოესწრო და გვრჩება შესაძლებლობა, გავაგრძელოთ მოლაპარაკებები უკვე მოპოვებული ახალი დოკუმენტების საფუძველზე. 1938 წლის რუკის თანახმად საზღვარი უნდა გავლებულიყო არა თხემზე, არამედ თხემის ძირში, რაც საქართველოს ფარგლებში აქცევდა უდაბნოს ტერიტორიას და მასზე განთავსებული სამონასტრო კომპლექსს“, — წერს ექსპერტი.

ჰესებს არავისთვის ზიანი არ მოუტანია!

საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება, თუ არ ჩავთვლით 2020-ის კრიზისს, ყოველწლიურად იზრდება. მატულობს გენერაციის ობიექტთა რაოდენობაც, თუმცა გაცილებით დაბალი ტემპით, რაც, საერთო ჯამში, დეფიციტს და მეზობელ სახელმწიფოებზე ენერგოდამოკიდებლობას ზრდის. გაჩერებული დიდი ჰესების მშენებლობის გარდა, კიდევ ერთი პრობლემა ოკუპირებულ აფხაზეთში უკონტროლო მოხმარება და კრიპტომაინინგია.

აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ „კომერსანტი“ ენერგეტიკის ყოფილ მინისტრსა და „საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარეს დავით მირცხულავას ესაუბრა.

2019-2020 წლებში ჰიდროგენერაცია მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ თუ 2018 წელს ჰიდროგამომუშავებამ 9.936 მლრდ კვტ/სთ შეადგინა, 2019 წელს ის 8.932 მლრდ კვტ/სთ-მდე შემცირდა, ხოლო 2020 წელს 8.248 მლრდ კვტ/სთ-მდე. უშუალოდ ენგურჰესის გენერაციაც 2 წელიწადში 32%-ით 4.019 მლრდ კვტ/სთ-დან 2.736 მლრდ/კვტ სთ-მდე დაეცა. ეს მაშინ როცა 2020 წელს ექსპლუატაციაში ხელახლა შესულმა შუახევჰესმა დამატებით 255 მლნ კვტ/სთ გამოიმუშავა. აღნიშნულ გარემოებას დავით მირცხულავა არახელსაყრელი ჰიდროლოგიური პირობებით ხსნის.

ოკუპირებულ აფხაზეთში ენერგომოხმარება მხოლოდ 2020 წელს 23.9%-ით 2.552 მლრდ კვტ/სთ-მდე გაიზარდა, რაც თბილისის მოხმარების 97%-ს უდრის, ეს მაშინ როცა აფხაზეთის მოსახლეობა 250 ათასზე ნაკლებია და წარმოებაც პრაქტიკულად არაა. ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის განმარტებით უფასო დენს ადგილობრივებთან ერთად რუსეთის მოქალაქეებიც ეტანებიან და კრიპტომაინინგისთვის ოკუპირებულ ზონაში ჩადიან. პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ მის შესახებ სოხუმშიც კი დაფიქრდნენ. მირცხულავას თქმით, კარგი იქნებოდა, თუ ძველი შეთანხმება, რომელიც 60/40-ზე განაწილებას გულისხმობდა შესრულდებოდა და არა მხოლოდ წლიურ ყოველთვიურ ჭრილშიც, რადგან ზამთრის თვეებში ყოველგვარი ბალანსი ირღვევა და მთელი გამომუშავება ენგურს გაღმა რჩება.

აფხაზეთს კიდევ ერთი პრობლემა უკავშირდება „ვარდნილის“ ოთხიდან სამი სადგური ჯამში 120 მგვტ სიმძლავრით ოკუპირებულ ზონაშია მოქცეული და მათი ამუშავება ამ დრომდე ვერ ხერხდება.

2021 წელს მტკვარი ჰესის ექსპლუატაციაში შესვლაა დაგეგმილი. მისი დადგმული სიმძლავრე 53 მეგავატია, საკარაუდო წლიური გამომუშავება კი 252 მლნ კვტ/სთ. მის გარდა მიმდინარე წელს არც ერთი ისეთი ჰესი არ სრულდება, რომელიც ჯამურ გენერაციას 1%-ზე მეტით გაზრდიდა. დავით მირცხულავას თქმით ისეთი დიდი ჰესების მშენებლობა როგორებიცაა ნენსკრა, ნამახვანი ან ონის კასკადი, დაწყებულია, მაგრამ შეჩერებულია და დასრულების ზუსტი თარიღის განსაზღვრა რთულია. კიდევ უფრო მძიმე დღეშია ხუდონი, რომელიც გარდა იმისა, რომ საკუთრივ 1.5 მლრდ კვტ/სთ-ის გამოიმუშავებდა, ენგურჰესის გენერაციასაც 0.5 მლრდ კვტ/სთ-ით გაზრდიდა. ენგურჰესის ტარიფი კი ყველაზე დაბალია და 1 კვტ/სთ-ის ღირებულება 1.86 თეთრს შეადგენს.

ენერგოდამოუკიდებლობის გარდა ჰესების მშენებლობის შეჩერებით ეკონომიკური აქტივობაც მცირდება, რაც მხოლოდ ნამახვანჰესის შემთხვევაში წლიურად 4200 მლნ-ს აღწევს.

საქართველოს ეკონომიკურად მომგებიანი ჰიდროპოტენციალის მხოლოდ 20% აქვს ათვისებული. ათეულობით დაგეგმილი ჰესიდან მხოლოდ სამია წყალსაცავიანი: ხუდონი, ნენსკრა და ნამახვანი. მათგან არც ერთი ჰიდრომააკუმულირებელი. მსგავსი პროექტი მხოლოდ ენგურჰესის შემთხვევაში არსებობს, რომელიც გაჩერებულია. მიუხედავად ამისა, გარემოზე ზრუნვის მოტივით წინააღმდეგობა ხვდება პრაქტიკულად ყველა ჰესს განურჩევლად მისი ზომების და მასშტაბებისა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მძლავრი შუახევჰესი 187 მეგავატიანია, გარდაბანი 1 და გარდაბანი 2 თბოსადგურები — თითო 230 მეგავატიანია და მათი მშენებლობა, რომლებიც გარემოს ბევრად მეტ ზიანს აყენებენ, არავის გაუპროტესტებია.

რაც შეეხება ქარისა და მზის მიმართულებას, დავით მირცხულავას განმარტებით პოტენციალი ქარის შემთხვევაში 1350 მეგავატია, მზის ენერგიის მიმართულებით 500 მეგავატი ჯამური წლიური გამომუშავება კი 4 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენს. მიუხედავად არსებული პოტენციალისა და მათზე ბოლო წლებში ფასების კლებისა, გარანტირებული შესყიდვის არარსებობის გამო, ინვესტორები სიფრთხილეს ამჯობინებენ და მშენებლობის დაწყებისგან თავს იკავებენ.

„კომერსანტის“ კითხვაზე, თუ რამდენი იქნება მოხმარება და დეფიციტი 2030 წლისთვის, დავით მირცხულავამ განმარტა, რომ ამ დროისთვის მოხმარება 22-23 მლრდ კვტ/სთ-მდე გაიზრდება და დეფიციტი 6 მლრდ კვტ/სთ-ს მიაღწევს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქარისა და მზის პოტენციალი სრულად იქნა ათვისებული.

ჰიდროპოტენციალის 80%-იანი ათვისების შემთხვევაშიც კი საქართველოს 20 მლრდ კვტ/სთ-ის ექსპორტის საშუალება ეძლევა. 2020 წლის საშუალო საექსპორტო ტარიფით ეს 4753 მლნ-ს უდრის.

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ევროპაში ჰესებს აღარ აშენებენ, ისაა, რომ პოტენციალი უკვე ათვისებულია. ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც ნორვეგიაა, 1600 ჰესია, საიდანაც 1000 წყალსაცავიანია. ჰესები და კაშხლები შენდება სეისმურად აქტიურ იაპონიაშიც. დღემდე არ არსებობს 1 პრეცენდენტიც კი, დამთავრებული კაშხალი რომ ჩამონგრეულიყოს. სამი ხეობის კაშხალმა ჩინეთში 2020 წელს 112 მლრდ კვტ/სთ გამოიმუშავა, რაც იმავე წლის საქართველოს ჯამურ ჰიდროგენერაციას 13.6-ჯერ აღემატება.

გიორგი ელიზბარაშვილი

რიკოთის ავტობანზე 2000 ჩვენი მოქალაქე მუშაობს...

რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ავტობანის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე, არსებული გვირაბის პარალელურად, ყველაზე გრძელი გვირაბის მშენებლობა დაიწყო, რომლის სიგრძე 1800 მეტრი იქნება, საიდანაც ამჟამად დაახლოებით 200 მეტრია გაჭრილი.

მიმდინარე სამუშაოები პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ და პირველმა ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა დაათვალიერეს.

„პანდემიის მიუხედავად, რიკოთის მონაკვეთის მშენებლობა ერთი დღითაც არ გაჩერებულა. ეს არის 52 კმ-იანი მაგისტრალი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და ფაქტობრივად გაანახევრებს მგზავრობის დროს. ეს სრულად შეცვლის უსაფრთხოების და სიჩქარეების სტანდარტს, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს. ეს არის ერთ-ერთი უნიკალური პროექტი, რომელიც თანამედროვე ისტორიაში მიმდინარეობს. სულ 53 ხიდი და 96 გვირაბი იქნება და ამ კონსტრუქციების ნახევარზე მეტი უკვე შენდება. ეს გვირაბი, სადაც ახლა ვიმყოფებით, ყველაზე გრძელი იქნება საქართველოში, ვიდრე ქვეშეთი-კობი აშენდება. ზოგადად, ჩქაროსნული მაგისტრალების თვალსაზრისით წელს დაახლოებით 40%-ით მეტი დაფინანსება გვაქვს გათვალისწინებული, რაც შესამჩნევ პროგრესს უზრუნველყოფს,“ — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს რიკოთის საუღელტეხილო გზის ჩუმათელეთი-ხევის 11.7 კმ-იან, ხევი-უბისას 12.2 კმ-იან და უბისა-შორაპნის 13 კმ-იან მონაკვეთებზე. რაც შეეხება შორაპანი-არგვეთას მონაკვეთს, აქ სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. როგორც უწყებაში განმარტავენ, საერთო ჯამში, ამ დროისთვის, რიკოთის საუღელტეხილო გზაზე უკვე გაჭრილია ექვსი გვირაბი. ბოლო გვირაბი სოფელ შროშასთან სულ ახლახან გაიჭრა და მისი სიგრძე 885 მეტრია. სამშენებლო სამუშაოები სულ 39 გვირაბსა და 61 ხიდზე მიმდინარეობს.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ მონაკვეთების სწრაფი და ხარისხიანი დასრულება, ასევე, როგორც ჩვენი თანამოქალაქეების დასაქმების შესაძლებლობა. მხოლოდ რიკოთის მშენებლობაზე დღეის მდგომარეობით 2000-მდე საქართველოს მოქალაქეა დასაქმებული, რაც მათი სტაბილური შემოსავლის და კვალიფიკაციის ამაღლების წყაროა,“ — აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

რიკოთის საუღელტეხილო გზა, E 60 ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია და ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთია. მისი მოდერნიზება უმნიშვნელოვანესია საგზაო ქსელის განვითარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ახალი გზა ხელს შეუწყობს ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობისა და სატრანზიტო ტვირთბრუნვის ზრდას, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების სტანდარტის ამაღლებას და მგზავრობის დროის შემცირებას.

გაიზარდა ციტრუსის ექსპორტი

2020 წლის 1 აგვისტოდან 2021 წლის 31 იანვრამდე პერიოდში განხორციელდა 38.0 ათასი ტონა მანდარინის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 18.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ამ პერიოდში გაიტანილი მანდარინის მოცულობა 7.0 ათასი ტონით (23%), ხოლო ექსპორტის ღირებულება 2.5 მლნ აშშ დოლარით (15%) აღემატება 2019/2020 წწ ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს.

2020 წელს წარმოებული მანდარინის ექსპორტი ძირითადად განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში (22.0 ათასი ტონა), სომხეთსა (8.3 ათასი ტონა) და უკრაინაში (5.3 ათასი ტონა). აღნიშნული ქვეყნების გარდა, ექსპორტი განხორციელდა აგრეთვე მოლდოვაში, თურქმენეთში, ბელარუსში, ყაზახეთში, ლიეტუვაში, სლოვენიაში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში, აშშ-სა და გერმანიაში.

აფხაზეთის პასუხი მისი „საქართველოსთვის დაბრუნების“ წინადადებაზე

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში აღშფოთდნენ რუსი პოლიტიკოსის ალექსეი მელნიკოვის გამოსვლაზე მედიაში. მელნიკოვი გამოვიდა წინადადებით, „ახალმა რუსეთმა მოამზადოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის, დნესტრისპირეთის კი — მოლდოვისთვის გადაცემა“. გაჩაღდა დისკუსია იმის თაობაზე, მართლა არის თუ არა ის ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ალექსეი ნავალნის თანაშემწე. ამ საკითხზე გთავაზობთ „ეხო კავკაზას“ სოხუმელი კორესპონდენტის ვიტალი შარიას სტატიას.

მიმდინარე კვირაში აფხაზურ საინტერნეტო თანამეგობრობაში ემოციური გამოხმაურებების ტალღა მოჰყვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატის ალექსეი მელნიკოვის 21 იანვრის გამოსვლას, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მომხმარებელმა გამოაქვეყნა ფეისბუქში. მოგვიანებით ეს ბლოგი „ეხო მოსკვის“ საიტზე გამოჩნდა სათაურით „აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი. უარი ვთქვათ აღიარებაზე“. ამასთან, ავტორი პუბლიცისტადაა დასახელებული. აი, ამ ტექსტის რამდენიმე ფრაგმენტი:

> **„2021 წლის აგვისტოში შესრულდა „დამოუკიდებლობის“ 13 წლისთავი. როგორია მისი შედეგები? რის გაკეთება მოახერხა რუსეთის დიპლომატიამ იმისთვის, რომ მიეღწია ამ „სახელმწიფოების“ აღიარებისთვის თუნდაც მსოფლიო თანამეგობრობის ნახევრის მიერ? ვერაფრის. რუსეთის რამდენიმე სატელიტისა და კლიენტის გარდა, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი არავის უღიარრებია. ამასთან, ისინი რუსეთისგან ყოველწლიურად იღებენ ფინანსურ დახმარებას და ამ დახმარებას ბოლო არ უჩანს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის პროექტი წარუმატებელ გადაწყვეტილებად უნდა იქნეს მიჩნეული. კიდევ ერთი ასეთი „ჩამოკიდებული“ ტერიტორიაა დნესტრისპირეთი. ახალი რუსეთის წინაშე ობიექტურად დგას ამოცანა, შეწყვიტოს წარუმატებელი და ძვირად ღირებული არათუ ექსპერიმენტი, არამედ ჩიხში შესული არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკა და მოამზადოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის, დნესტრისპირეთის კი — მოლდოვისთვის გადაცემა“.**

შემდგომ ფეისბუქში მოტანილი იყო მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, სადაც კერძოდ აღნიშნულია: **„მელნიკოვი ალექსეი იურის ძე — პოლიტიკოსი, ეკონომისტი, პუბლიცისტი. სახელმწიფო დუმის 1-3 მოწვევის დეპუტატი. დაიბადა 1964 წლის 8 აპრილს. დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომისტი“.**

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ წლებში როგორც აფხაზეთის საზოგადოებას, ისე სახელმწიფო სტრუქტურებს, არაერთხელ ჰქონდათ აღშფოთებული რეაქცია რუსეთის ცალკეული პოლიტიკოსების — ჟირინოვსკის, პრილეპინისა და ნაკლებად ცნობილთა — მოწოდებაზე, აფხაზეთი, რამდენიმე სხვა მცირე ზომისა და სხვადასხვა სტატუსის მქონე სახელმწიფოსთან ერთად, შეყვანილ იქნეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. მაგრამ ამ შემთხვევაში აღიარების გადახედვაზე წინადადება, რუსეთის ნაციონალ-პატრიოტების წარმოდგენებისგან განსხვავებით, დაკავშირებულია საქართველოს შემადგენლობაში „დაბრუნებასთან“.

ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრმა, ექსპერტმა ლიანა კვარჩელიამ „ეხო კავკაზასთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ რუსეთის ლიბერალურ წრეებში ხშირად განაზოგადებენ პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა კონფლიქტს:

> **„ჯერ ერთი, მიმაჩნია, რომ რუსეთი პატივს სცემს საკუთარ გადაწყვეტილებებს და, საერთოდ, ეს — აღიარების უკან წაღება — დარტყმაა რუსეთის რეპუტაციისთვის. ჩემი აზრით, ეს ნაკლებსავარაუდოა. მეორე, რაც იქცევს ყურადღებას და, სხვათა შორის, ადრეც იქცევდა, არის ის, რომ, დიდად სამწუხაროდ, რუსეთის ლიბერალურ წრეებში არცთუ ცოტანი არიან ადამიანები, რომლებიც თავს არ იტკიებენ ჩვენს კონფლიქტთან, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებული დეტალების შესწავლით. ისინი ერთი და იმავე საზომით უდგებიან ერთსა და იმავე ვითარებას. თუმცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ვითარებებს საკუთარი სპეციფიკა, საკუთარი თავისებურებები ახასიათებთ. ჩვენ ერთ რიგში გვაყენებენ დნესტრისპირეთთანაც, ყირიმთანაც და დონბასთანაც. ეს არასწორია“.**

კვარჩელიამ გაიხსენა ის, რომ ასეთივე ზედაპირული შეხედულება, როცა ორმაგ სტანდარტს მისდევდნენ და ხალხის ნებას შერჩევით ეკიდებოდნენ, რუსეთის ლიბერალური საზოგადოების ნაწილს სამი ათწლეულის წინათაც ჰქონდა. მაგრამ, მაგალითად, ანდრეი სახაროვი, გალინა სტაროვოიტოვა ხალხებს სიმაღლის მიხედვით არ ალაგებდნენ, მათ თანასწორებად მიიჩნევდნენ. დიახ, დღევანდელ აფხაზეთში ბევრი პრობლემაა, მაგრამ უბრალოდ ერთად მუშაობაა საჭირო მათ გადასაწყვეტად. და რას მოიტანდა ისეთების „შორსმჭვრეტელი“ წინადადება, როგორიც მელნიკოვია? რა მოჰყვებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებაზე უარს და სამხედრო ბაზების გაყვანას? კვლავ აგიზგიზდებოდა ცეცხლი იქ, სადაც უკვე გიზგიზებდა 90-იანების დასაწყისში და კვლავ საჭირო გახდებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანა.

განხილვაზე აღიბეჭდა რუსეთში შიდაპოლიტიკური ბრძოლის გამწვავებაც. ფეისბუქში მელნიკოვი დასახელებული იყო როგორც ალექსეი ნავალნის თანაშემწე და მრჩეველი სტრატეგიულ საკითხებში. ბუნებრივია, სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში არაერთი კომენტარი ეძღვნება მის კავშირს ოპოზიციონერ პოლიტიკოსთან: **„სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ თავად ნავალნი გამოდიოდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის აღიარების მოწოდებით და ამას მოწმობს მისი ინტერვიუ ქსენია სობჩაკთან“,** გვახსენებს ერთ-ერთი მომხმარებელი. **„ალექსეი მელნიკოვი არ არის ნავალნის თანამებრძოლი და არც არასოდეს ყოფილა. ის არის პარტია „იაბლოკოს“ წევრი, რომელი პარტიიდანაც იქნა დუმაში არჩეული. ამჟამად ადამიანის უფლებების დაცვით არის დაკავებული“,** — წერს მეორე.

„ეხო კავკაზამ“ მიმართა მოსკოველ პოლიტოლოგს, დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის თანამშრომელ ვლადიმირ ნოვიკოვს. აი, რა მოსაზრება გამოთქვა მან:

> **„ბატონი მელნიკოვი არის პოლიტიკოსი პარტია „იაბლოკოდან“, საკმაოდ აქტიური ბლოგერია. და რაღაცაზე აქვს პრეტენზია რუსეთის პოლიტიკაში. ამ შემთხვევაში გამახსენდა სსრკ-ის კგბ-ს უკანასკნელი თავმჯდომარის კრიუჩკოვის მიერ ვიღაცაზე ნათქვამი სიტყვები: „ის ჯერ მზად არ არის დიდ პოლიტიკაში შესასვლელად“. იქნებ ბატონმა მელნიკოვმა არ იცის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე დარეგულირების შესახებ ამგვარი იდეები მუდამ განიხილებოდა რუსეთში 2008 წლის ომამდე? მაგრამ ამ პრინციპის საფუძველზე პრობლემის მოგვარების მცდელობებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო. რატომ მიაჩნია მას, რომ ამან შეიძლება ახლა მოიტანოს რაიმე შედეგი? და მთავარი, რაც არის აქ გასაოცარი: მისი ამოსავალია თეზისი, რომ ეს ვითარებები — როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის — ქართულ-რუსული ურთიერთობების პირდაპირი შედეგია. ანუ ის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უარს ეუბნება, იყვნენ კონფლიქტის მხარეები და არა რუსეთის მხარის „უფასო დანამატი“, როგორც თავად ეჩვენება“.**

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

სოფელ დარჩელში სკოლის მშენებლობა დასრულდა



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა დაასრულა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ 1.7 მილიონი ლარით დაფინანსდა.

„90 ბავშვზე გათვლილი სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა. საკლასო ოთახების გარდა, კეთილმოეწყო სკოლის ეზოც, დამონტაჟდა გათბობის, წყალსადენის და კანალიზაციის სისტემები. სკოლა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, აშენებს 66 სკოლას, რეაბილიტაციისა და ენერგო-ეფექტური კომპონენტის გაძლიერების სამუშაოებს კი 100 სკოლაში ახორციელებს. 2020 წელს ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უკვე დაასრულა 20 ახალი სკოლის მშენებლობა 1530 მოსწავლისთვის. 2021 წელს კი დამატებით დასრულდება კიდევ 41 სკოლის მშენებლობა 7020 ბავშვისთვის. ასევე, 2021-2022 წლებში ეტაპობრივად დასრულდება 100-ზე მეტი სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელთა შედეგად 16 ათასი მოსწავლე სრულად განახლებულ სკოლაში ისწავლის.

თაღლითი დანაშაულის ფაქტზე დაიჭირეს

პოლიციამ **თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე 1984 წელს დაბადებული ვ.ბ. დაიკავა. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებენ.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, 1969 წელს დაბადებულ კ.ლ.-სთვის, ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის ID ბარათის დამზადების სანაცვლოდ მოტყუებით დაეუფლა 300 აშშ დოლარს. კერძოდ, შეხვედრაზე ვ.ბ.-მ კ.ლ.-ს შესთავაზა ევროპის ნებისმიერი ქვეყნის ID ბარათის დამზადება, რომლის მეშვეობითაც იგი სასურველ ქვეყანაში უპრობლემოდ ცხოვრებას შეძლებდა, ასევე განუმარტა, რომ ID ბარათის ღირებულება იყო 5 680 აშშ დოლარი და შეეძლო ამ თანხის ეტაპობრივად გადახდა. ვ.ბ.-მ კ.ლ-ს 300 აშშ დოლარი წინასწარ მოტყუებით გამოართვა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ვ.ბ. თბილისში დააკავეს. დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია სხვადასხვა მოქალაქეების პირადობის მოწმობები და სხვა დოკუმენტები“, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მეხანძრე-მაშველებმა ტრავმატოლოგიური ცენტრის პაციენტები გადაარჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ თბილისში, წინანდლის ქუჩაზე, გადაუდებელი ტრავმატოლოგიური ცენტრის შენობაში იყო ხანძარი.

ადგილზე უმოკლეს დროში მოხდა რვა სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟის მობილიზება. ძლიერი დაკვამლიანება და ღია ცეცხლი შეინიშნებოდა სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე. მეხანძრე-მაშველებმა ერთ-ერთ პალატაში მყოფი ხუთი პაციენტი

უსაფრთხო პალატაში გადაიყვანეს, სადაც ექიმებს საშუალება მიეცათ, მათთვის მკურნალობა გაეგრძელებინათ. გამოძახებიდან ნახევარ საათში ხანძარი ლიკვიდირებული იყო. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ეროვნული აკადემია – თავად დიდი აკადემიკოსი

გიორგი კვესიტაძე,
აკადემიკოსი

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი

XX საუკუნის დასაწყისში, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, ქართველ მოღვაწეთა დიდი მცდელობით დაარსდა უნივერსიტეტი (1918წ.).

ამასთან უნდა ითქვას, რომ პეტერბურგსა და მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართველოლოგიური ცენტრები, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში შეიქმნა ქართველოლოგიური კათედრები. თეიმურაზ ბაგრატიონი აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად (1837წ.); ქართველოლოგიას დიდი ამაგი დასდეს XIX საუკუნის ცნობილმა მოღვაწეებმა, აღიარებულმა ფრანგმა ორიენტალისტმა მარი ბროსემ, პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა (ლექსიკოგრაფი), პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დიმიტრი ბაქრაძემ, პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა. განსაკუთრებული ადგილი უკავია ნიკო მარს – პეტერბურგის აკადემიის ნამდვილ წევრს (1909წ.).

მნიშვნელოვანი იყო თბილისში კავკასიის მუზეუმისა და ობსერვატორიის დაარსება. 1868 წელს გაიხსნა რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1907 წელს ჩამოყალიბებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შესახებ (იხ. რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982.). ამ საზოგადოებას დიდი წვლილი მიუძღვის პეტერბურგში მიმდინარე საუნივერსიტეტო პროცესის პარალელურად, თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავი მოუყარა ქართველ ინტელიგენციას და ეროვნული მიზნების სამსახურში ჩააყენა; დააარსა მუზეუმი, შექმნა წიგნთსაცავი, გამოსცა სამეცნიერო შრომების ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა – შეიქმნა ძლიერი საუნივერსიტეტო ბაზა, რომელიც თავისი შინაარსითა და ოფიციალური აღიარებით ერთადერთი აკადემიური დაწესებულება იყო. **„ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტიც“ (კორნელი კეკელიძე).**

უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს პეტრე მელიქიშვილი,; სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი;, პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივნად იოსებ ყიფშიძე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №23

უნივერსიტეტის გახსნის დღედ 26 იანვარი დაწესდა. ეს დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეა და ხაზი გაესვა, რომ თბილისის უნივერსიტეტი სწორედ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი განათლებისა და კულტურის ტრადიციებზე შეიქმნა –– IV საუკუნეში არსებული ფაზისის რიტორიკული სკოლისა და

XII საუკუნის გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე გახდა.

უნივერსიტეტის დაარსებამ უმალ ფართო გზა გაუხსნა მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებას. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში აღიარებული – მათემატიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, ქართველოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ფიზიკის, ქართული მეცნიერული სკოლების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

* * *

1922 წელს ივანე ბერიტაშვილმა დაადგინა ტვინის უმაღლეს განყოფილებათა ფუნქციონირების პრინციპი. ამავე წელს გამოსცა სახელმძღვანელო „კუნთოვანი და ნერვიული სისტემების ზოგადი ფიზიოლოგია“. 1923 წელს ალექსანდრე თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით აღმოჩნდა მაგნიტური თიხების საბადო სოფ. გუმბრაში. 1925 წელს ანდრია რაზმაძემ შექმნა ნაშრომთა ციკლი, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა ვარიაციათა აღრიცხვის ახალ მიმართულებას; 1929 წელს ამოხსნა პუანკარეს ამოცანა (ადამარ-რაზმაძის თეორია). მნიშვნელოვანი შრომები შეიქმნა ჰუმანიტარიის დარგშიც **(ი. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, გრ. წერეთელი).**

1933-34 წლებში უნივერსიტეტთან შეიქმნა ფიზიოლოგიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის და ლიტერატურის ინსტიტუტები.

* * *

საქართველოში ახალგაზრდა კადრების მომძლავრებას ხელი შეუწყო 1929 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილმა ასპირანტურამ. ამ ასპირანტურადამთავრებულთაგან შვიდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა. ესენია: **ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, გიორგი წერეთელი, ვიქტორ კუპრაძე, შოთა ძიძიგური, სერგი ჯიქია და ბენედიქტე ბალავაძე.** 1932 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელად ნიკო მარი დაინიშნა. ეს ინსტიტუტი საკავშირო აკადემიის ფილიალად გადაკეთდა.

საქართველოში კვლევაძიების სწრაფმა განვითარებამ და ეროვნული კადრების არსებობამ ყველა პირობა შექმნა მეცნიერების დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნისათვის. 1935 წელს აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფილიალებად. 1939 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა: ნ. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე), **ს. ჯანაშია** (მოადგილე), **ი. ჯავახიშვილი, ვ. კუპრაძე, ფ. ზაიცევი, მ. ნოდია, ს. ქუთათელაძე** (სწავლული მდივანი), **გ ჩიტაძე, ვ. ჩაგუნავა და ა. ვაშაკიძე.** წინა შემადგენლობიდან მასში შეიყვანეს აკადემიკოსები ლ. პისარჟევსკი, ი. მეშჩანიკოვი და ბ. კელერი.


ვახუშტი ბატონიშვილი

თეიმურაზ ბაგრატიონი


მარი ბროსე


დავით ჩუბინაშვილი

ნიშანდობლივია, რომ ფილიალის სისტემაში ძირითადად საბუნებისმეტყველო მეცნიერება იყო წარმოდგენილი. აქ საზოგადოებრივი მეცნიერების (ისტორია, ფილოლოგია, ეკონომიკა) არც ერთი მიმართულება არ იყო. საკითხის დაყენების შემდეგ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტი გარდაქმნა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად (ენიმკი). მუშაობა გაჩაღდა მეცნიერების ყველა დარგში და გარკვეული წარმატებებიც იქნა მიღწეული. ყველა პირობა შეიქმნა საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებამ, მასში მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებამ, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შექმნამ, რეალურად განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. 1941 წლის 10 თებერვალი ღირსსახსოვარი თარიღია საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. სწორედ ამ დღეს გამოცხადდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება (№183), რომელშიც მითითებული იყო, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმის შემდგომი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნება. განისაზღ-


დიმიტრი ბაქრაძე

ალექსანდრე ცაგარელი

ალექსანდრე ხახანაშვილი

ნიკო მარი


პეტრე მელიქიშვილი

ივანე ჯავახიშვილი


ექვთიმე თაყაიშვილი

ვრა აკადემიაში შემავალი სამეცნიერო დაწესებულებები, დამტკიცდა წესდება და სტრუქტურა. დადგენილებას ხელი მოაწერეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გ. კიკნაძემ და საქმეთა მმართველმა ი. რუხაძემ.

1941 წლის 22 თებერვალს დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემადგენლობა: **ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, გიორგი ხაჭაპურიძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, კირიაკ ზავრიევი, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ კეცხოველი, ფილიპე ზაიცევი, ტარასი კვარაცხელია, არნოლდ ჩიძოობავა**.

1941 წლის 26 თებერვალს აკადემიის საერთო კრებამ აირჩია პრეზიდიუმი: ნ. მუსხელიშვილი (პრეზიდენტი), გ. ახვლედიანი, ივ. ბერიტაშვილი, კ. ზავრიევი, ნ. კეცხოველი, ს. ჯანაშია (ვიცე-პრეზიდენტი), ა. ჯანელიძე.

1944 წლის 6 იანვარს მეორე ვიცე-პრეზიდენტად **ნ. კეცხოველი** აირჩიეს, ხოლო 1945 წლის 5 ნოემბერს აკადემიკოს-მდივნად **გ. ახვლედიანი**.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მასში შემავალ ინსტიტუტებთან მნიშვნელოვანი მუშაობა დაიწყო. გადაწყდა აკადემიას ფართო მონაწილეობა მიეღო ფრონტისთვის (ომი 1941 წლის ივნისში დაიწყო) სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების საქმეში. ქართველი მეცნიერები შრომობდნენ თავდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, ნედლეული რესურსების გამოყენებისა და დეფიციტური მასალების ადგილობრივი ნედლეულით შეცვლაზე. დიდ მუშაობას ეწეოდა საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით. ომის წლებში ექსპლუატაციაში გადაეცა სასარგებლო წიაღისეულის 29 საბადო, რომელთა ბაზაზეც (ვერცხლისწყალი, ვოლფრამი, მოლიბდენი, დარიშხანი) განვითარდა მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები.

* * *

თავდაცვის სფეროს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, სწორი დიაგნოსტიკისა და ჯარისკაცთა დაზიანებული ნერვული სისტემის განკურნებაში. მნიშვნელოვანია, რომ ი. ბერიტაშვილი თავისი ახალი გამოკვლევების (აღმოჩენების) გათვალისწინებით რეალურ დახმარებას უწევდა ნევროლოგიური სამხედრო ჰოსპიტლების პერსონალს.

მეცნიერთა საქმიანობის კოორდინაციისა და კვლევითი დაწესებულებების რაციონალური გამოყენების მიზნით მეცნიერებათა აკადემიამ შექმნა საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო (1941 წლის აგვისტო) აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ ომის წლებში მეცნიერება და ტექნიკა საქართველოში აღმასვლას განიცდის. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ, რომ **ნ. მუსხელიშვილს** მონოგრაფიისთვის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ამოცანა“ (1941), **ივ. ბერიტაშვილს** მონოგრაფიისთვის — „კუნთოვანი და ნერვული სისტემების ფიზიოლოგია“ (1941წ.), **რ. აღლაძეს** — „ელექტროლიზური მაგნიუმის მილების მეთოდის ფეროშენადნობთა ქარხანაში დანერგვისათვის“ (1943წ.), სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ. ანალოგიური პრემია, ისტორიულ მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისათვის, მიიღეს **ს. ჯანაშიამ** და **ბ. კუფტინმა**.

1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა და აკადემიის რიგებში აირჩიეს 13 აკადემიკოსი: **ნიკო ბერძენიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, პეტრე შარია, ლეო დავითაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, გიორგი მუხაძე, ალექსანდრე ნათიშვილი, გრიგოლ წულუკიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი;** 13 წევრ-კორესპონდენტი: **კარპეზ დონდუა, ბორის კუფტინი, გიორგი ჩიტაია, გიორგი წერეთელი, გიორგი გედევანიშვილი, ილია ვეკუა, ივანე კაჭარავა, პეტრე ქომეთიანი, იოველ ქუთათელაძე, ვლადიმერ გულისაშვილი, ლეონიდ დეკაპრელევიჩი, მიხეილ საბაშვილი, დიმიტრი სოსნოვსკი**. საპატიო აკადემიკოსად აირჩიეს **ვლადიმერ ვორონინი, ვლადიმერ კომაროვი** (საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი) და **ალექსანდრე ბოგომოლეცი** (უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი).

1942 წელს შეიქმნა სოფლის მეურნეობის მეცნიერების განყოფილება, 1943 წელს ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, ფსიქოლოგიის სექტორი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი. 1944 წელს დაარსდა ეკონომიკის ინსტიტუტი. 1945 წელს — გეოგრაფიის ინსტიტუტი და ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტები. 1944 წელს აკადემიის შემადგენლობას შეემატა სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

პირველი პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი



ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი; დაიბადა 1891 წ. 4(16), II — გარდაიცვალა 1976 წ. 15.VII. საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი; სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939 წ.) და პრეზიდიუმის წევრი (1942-53 წწ.; 1957-72 წწ.); საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941 წ.), პრეზიდენტი (1941-72 წწ.); საპატიო პრეზიდენტი (1972 წ.). სოციალისტური შრომის გმირი (1945 წ.).

დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი (1914 წ.) იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი (1922 წ.-დან); 1933-35 წწ. და 1941 წ.-დან გარდაცვალებამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ნ. მუსხელიშვილს ფუძემდებლური გამოკვლევები აქვს დრეკადობის თეორიასა და ინტეგრალურ განტოლებებში, ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებში და სხვ. ნ. მუსხელიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება დრეკადობის თეორიის ამოცანებისათვის; შემოიღო მრავალი მეთოდი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ მათემატიკის სხვა დარგებშიც, თეორიულ ფიზიკასა და მექანიკაში.

ნ. მუსხელიშვილის შრომებში ამოხსნილია ბრტყელი დრეკადობის თეორიის ყველა ძირითადი ამოცანა სტატიკური შემთხვევისათვის. მან აღმოაჩინა არეთა ფართო კლასი, რომელთათვისაც ბრტყელი ამოცანა რედუცირდება ალგებრულ განტოლებათა სასრულ წრფივ სისტემაზე.

ნიკოლოზ მუსხელიშვილმა მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანალიზური ფუნქციების წრფივი სასაზღვრო ამოცანებისა და ერთგანზომილებიანი განსაკუთრებული ბირთვების მქონე ინტეგრალური განტოლებების თეორიაში. მას ეკუთვნის ინდექსის მნიშვნელოვანი ფორმულა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემისათვის.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი ავტორია ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა ანალიზურ გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში; მისი მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ იქცა მეცნიერთა სამაგიდო წიგნად, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი იყო სსრკ I-IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრკ თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე (1957 წ.-დან გარდაცვალებამდე); თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრი (1960 წ.); სომხეთის სსრ (1961 წ.) და აზერბაიჯანის სსრ (1972 წ.) მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის (1952 წ.), პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის (1960 წ.), გდრ-ის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის (1967 წ.) წევრი.

მინიჭებული ჰქონდა სსრკ სახელმწიფო პრემია (1941, 1947 წწ.). ლომონოსოვის სახ. ოქროს მედალი (1972 წ.), ტურინის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პრემია და ოქროს მედალი „მოდესტო პანეტი“ (1969 წ.), სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი (1970 წ.); დაჯილდოებული იყო 6 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით, აგრეთვე 2 უცხოური ორდენით.

1977 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემია მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში...

აშშ-ს რუსეთის მიტინგებთან კავშირი არა აქვს

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ ღრმად შეშფოთებულია რუსეთში მომიტინგეების ძალადობრივი დარბევისა და ათასობით ადამიანის დაპატიმრების გამო.

მანამდე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის ხელისუფლებას მოსთხოვა, რუსეთის საქმეებში ჩარევა შეწყვიტოს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ აშშ-ს რუსეთში გამართულ საპროტესტო აქციებთან კავშირი არ აქვს.

„რუსეთის მთავრობა დიდ შეცდომას უშვებს, თუ ფიქრობს, რომ საქმე ჩვენშია. ეს ასე არ არის. საქმე რუსეთის მთავრობაშია, საქმე რუსი ხალხის იმედგაცრუებაშია, რაც გამოწვეულია კორუფციით, ავტოკრატიით და ვფიქრობ, რუსეთმა შიგნით უნდა იყუროს და არა გარეთ“, – განაცხადა ენტონი ბლინკენმა NBC News-სთან ინტერვიუში. 31 იანვარს რუსეთში ალექსეი ნავალნის მხარდამჭერ აქციებზე 5 ათასზე მეტი ადამიანი დააკავეს.

„ყოვლისშემძლე“ ზელენსკი

უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, 2014 წელს პრეზიდენტი რომ ყოფილიყო, რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციას არ დაუშვებდა.

„მაშინ პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი, ყირიმში ყველანი მოვკვდებოდით, მაგრამ „მწვანე კაცუნებს“ არ შემოვუშვებდით. „მწვანე კაცუნები“ რომ არ შემოგვეშვა ყირიმში, რუსეთი სეპარატისტებს ვერ დაეხმარებოდა და აღმოსავლეთ უკრაინაში არ იქნებოდა“, – აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა მწუხარებით აღნიშნა, რომ ნორმანდიის ფორმატში ყირიმის ოკუპაციის საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

ევროკავშირს რუსეთისთვის სანქციების დაწესებისკენ მოუწოდეს

რუსეთში **საპროტესტო აქციების ჩახშობის ფონზე ლატვიის პრეზიდენტმა, ეგილს ლევიტსმა ევროკავშირს რუსეთისთვის სანქციების დაწესებისკენ მოუწოდა.**

ლატვიის პრეზიდენტის განმარტებით, ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სასანქციო მექანიზმის გამოყენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე პასუხისმგებელი პირებისთვის სავიზო შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობა უნდა განიხილოს.

„ახლა სწორი იქნება რუსეთში ხალხს სიმბოლური და პოლიტიკური მხარდაჭერა გამოვუცხადოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დემოკრატიისთვის მოძრაობის სულისკვეთებას აძლიერებს“, – აღნიშნა ეგილს ლევიტსმა.

ლატვიის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ასამდე ქალაქში გამართული საპროტესტო აქციები რუსეთში დემოკრატიის მნიშვნელოვან პოტენციალს ცხადჰყოფს.

სომხეთის მთავრობა აზერბაიჯანს უჩივის

სომხეთის მთავრობამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აზერბაიჯანის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. სომხეთის მთავრობა ოფიციალურ ბაქოს მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის დარღვევაში ადანაშაულებს.

„კერძოდ, სომხეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღისა და სომხეთის მოსახლეობის რიგი უფლებები დაარღვია. საუბარია წამების გამოყენებაზე, არაადამიანურ მოპყრობაზე, ხელშეუხებლობის უფლებასა და საკუთრების უფლებაზე“, – ნათქვამია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სომხეთის წარმომადგენლობის განცხადებაში.

ჩინეთი ცდილობს, მოიპოვოს ამერიკელების სამედიცინო მონაცემები

ჩინეთის მცდელობა, მოიპოვოს ამერიკელების სამედიცინო მონაცემები, მათ შორის დნმ, აშშ-ის ეკონომიკისთვის და ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, – ამის შესახებ აშშ-ის კონტრდაზვერვისა და უსაფრთხოების ეროვნული ცენტრის განცხადებაშია აღნიშნული.

ამერიკული სადაზვერვო სამსახურის ცნობით, მრავალი წლის განმავლობაში ჩინეთი აშშ-ის და მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სამედიცინო მონაცემებს კანონიერი და უკანონო გზებით აგროვებდა, რომლის მიზანია, მხოლოდ ჩინეთს ჰქონდეს კონტროლის შესაძლებლობა. აშშ-ის „კონტრდაზვერვის და უსაფრთხოების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ჩინეთის მხრიდან მონაცემების შეგროვება განსაკუთრებით გააქტიურდა „კოვიდ-19“-ის პანდემიის დროს.

ვაშინგტონის მტკიცებით, ჩინეთის წამყვანმა ბიოტექნოლოგიურმა კომპანიამ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში 180 ქვეყანას მიჰყიდა ტესტების ნაკრები და 18 ქვეყანაში ლაბორატორია დააფუძნა. აშშ-ს ხელისუფლების ცნობით, ეს ლაბორატორიები ჩინელ მკვლევართათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სამედიცინო მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ.



საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

დადგენილება

არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-30/2020

ქ. თბილისი 2 თებერვალი, 2021 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, ერთპიროვნულად, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გამოვარკვიე:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, გედეონ სამარგულიანის, ლანა გიგაურის, გურამ ჭოხონელიძეს, ნინო გურგენიძეს, ეკატერინე სადრაძეს, ვასილ ებრალიძეს, მარინე ჩიტიაშვილის, სტეფანე განჯელაშვილის, ევგენია მალინოვას და ელენა სულაძეს მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

2020 წლის 21 სექტემბერს ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ დაზუსტებული სარჩელით მომართა არბიტრაჟს შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის, მაია დილევსკაიას, გედეონ სამარგულიანის, ლანა გიგაურის, გურამ ჭოხონელიძეს, ნინო გურგენიძეს, ეკატერინე სადრაძეს, ვასილ ებრალიძეს, მარინე ჩიტიაშვილის, სტეფანე განჯელაშვილის, ირაკლი დავითაიას და ივანე ციმაკურიძის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

არბიტრაჟის უწყება საქმის განსახილველად დანიშვნის შესახებ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაეგზავნათ მოპასუხეებს. ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად გედეონ სამარგულიანს და ირაკლი დავითაიას არბიტრაჟის უწყება ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან გედეონ სამარგულიანს და ირაკლი დავითაიას სარჩელში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილი უწყება ვერ ბარდებათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, საქმის განსახილველად დანიშვნის შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

დავადგინე:

1. მოპასუხე გედეონ სამარგულიანს და ირაკლი დავითაიას საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს, რომ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის განხილვა შპს „აქსისის“, ი.მ.ა „აქსისი პალასი-2“-ის და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ, დანიშნულია 2021 წლის 18 თებერვალს, 16:30 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

2. გედეონ სამარგულიანს და ირაკლი დავითაიას განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

3. გედეონ სამარგულიანს და ირაკლი დავითაიას ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს საარბიტრაჟო კოლეგია მამუკა ღვინიაშვილის, თეა ხამხაძის და ლაშა კალანდაძის შემადგენლობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო კოლეგიის (კოლეგიის რომელიმე წევრის) აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

4. გედეონ სამარგულიანს და ირაკლი დავითაიას განემარტოთ, რომ უწყება საქმის განხილვის შესახებ მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

5. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

6. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

საქმე №1/10-2020

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 27 იანვარი 2021 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”

საარბიტრაჟო მოპასუხე: ნანა კონიაშვილი, ნინა კობალაძე

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულების შესრულება იპოთეკის საგნის რეალიზაცია**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2020 წლის 23 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ნანა კონიაშვილისა და ნინა კობალაძის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2016 წლის 14 აპრილს შპს „ნოვა კრედიტსა” და ნანა კონიაშვილს შორის დაიდო №041605345 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 30 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ნინა კობალაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ნანა კონიაშვილისა და ნინა კობალაძის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შესრულება და იპოთეკის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნანა კონიაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნინა კობალაძეს ორმჯერ გაეგზავნა იპოთეკის საგნის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი იპოთეკის საგნის მიხედვით მისამართზე ვერ მოიძებნა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნანა კონიაშვილსა და ნინა კობალაძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნანა კონიაშვილი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

დადგენილია, რომ მოპასუხე ნინა კობალაძე იპოთეკის საგნის მიხედვით მისამართზე ვერ მოიძებნა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნინა კობალაძეს (პირადი №59002006834) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ნინა კობალაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე ნინა კობალაძეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ნანა კონიაშვილსა და ნინა კობალაძეს ეცნობოთ, რომ 2021 წლის 22 თებერვალს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/მ. ლებანიძის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ნანა კონიაშვილისა და ნინა კობალაძის მიმართ.

5. მოპასუხე მხარეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

წინ წყალი, უკან მეწყერი!..

კლიმატის ცვლილებასთან ერთად, ყინულის დნობის მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში სწრაფდება — ხმელეთზე და წყალში, ჩრდილოეთ თუ სამხრეთ ნახევარსფეროში.



თანამგზავრული მონაცემებით ირკვევა, რომ 1994 წლიდან დღემდე, გრენლანდიასა და ანტარქტიდაზე, არქტიკასა და სამხრეთის ოკეანეებში 28 ტრილიონი ტონა ყინული გადნა.

საერთო ჯამში, დანაკარგი შეადგენს დაახლოებით გაერთიანებული სამეფოს ზომის 100 მეტრის სისქის ყინულის ფენას. მასის ნახევარზე მეტი მოდის ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანისა და ანტარქტიდის ყინულის ნადნობ წყალზე.

„ყინულოვანი საფარი გაეროს კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ კლიმატის განგაშის თვალსაზრისით განხილულ ყველაზე უარეს სცენარებს მიჰყვება. ზღვის დონის ამ მასშტაბით მატებას, ამ საუკუნეში ძალიან სერიოზული გავლენა ექნება სანაპირო ზოლში მცხოვრებ საზოგადოებებზე“, — ამბობს ლიდსის უნივერსიტეტის მკვლევარი თომას სლატერი, რომელიც ხმელეთისა და წყლის ყინულის ალტიმეტრიას სწავლობს.

ჩვენ გარშემო ზუსტად ის ხდება, რაზეც მეცნიერები რამდენიმე ათეული წლის წინ გვაფრთხილებდნენ. რეალობამ საბოლოოდ მიგვიყვანა იმ წერტილამდე, საიდანაც შეჩერების რაიმე ნიშანი უკვე აღარ ჩანს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ 23-წლიან პერიოდში, მკვლევრებმა გლობალური ყინულის კარგვის მაჩვენებლის დაახლოებით 60-პროცენტიანი ზრდა იხილეს.

მხოლოდ შარშან, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ყინულის საფარის მოცულობამ 1979 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია, ანუ მას შემდეგ, რაც გამოსახულებების თანამგზავრული ჩაწერა დაიწყო; ანტარქტიდაზე კი დნობის მაჩვენებელი იმაზე გაცილებით უარესი იყო, ვიდრე რომელიმე ექსპერტი ვარაუდობდა.

დედამიწის ყინულის დანაკარგები ერთმნიშვნელოვნად იმატებს, თანაც საშინელი შედეგებით. გრძელდება ატმოსფერული ტემპერატურის მატება, იგივე ხდება ოკეანეშიც, კლიმატის ცვლილებას ნებდება ზღვის ყინული და მთის მყინვარები მთელ მსოფლიოში.

როგორც თანამგზავრული დაკვირვებები აჩვენებს, კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად მყინვარებს ურტყამს, განსაკუთრებით გრენლანდიაში, ალასკასა და სამხრეთ ანდებში. მიუხედავად იმისა, რომ მყინვარებზე დედამიწის ყინულის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 1 პროცენტი მოდის, მკვლევრებმა დაადგინეს, რომ მათზე მოდის ყინულის გლობალური დანაკარგების თითქმის მეოთხედი.

თანამგზავრული დაკვირვებებით დგინდება, რომ 1994-2017 წლებს შორის გრენლანდიის მთის მყინვარებზე გადნა 6,1 ტრილიონი ტონა ყინული, 2,5 ტრილიონი ტონა კი ანტარქტიდის ყინულოვან საფარზე.

საერთო ჯამში, ეს ნიშნავს ზღვის დონის 35 მილიმეტრით აწევას; მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთის ყინულმა შედარებით მდგრადობა აჩვენა, კოლაფსი იქაც იწყება.

2012 წლიდან, ანტარქტიდაზე ყინულის დანაკარგის მაჩვენებელი გასამმაგდა წინა ორ ათწლეულთან შედარებით; მიზეზი მყინვარებისა და შელფური მყინვარების დნობაა.

ატმოსფერული ტემპერატურის მატებამ გავლენის მოხდენა დაიწყო ზღვის ყინულზეც, რამაც ყინულის ყველაზე ძველი და სქელი ფილების რღვევა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის დნობას პირდაპირი გავლენა არ აქვს ზღვის დონის მატებაზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის საფრთხეს არ წარმოადგენს.

„არქტიკის ყინულის ერთ-ერთი საკვანძო როლი არის მზის რადიაციის უკან, კოსმოსში არეკვლა, რაც არქტიკაში სიცივეს გვინარჩუნებს“, — განმარტავს იოსებელ ლოურენსი, რომელიც ლიდსის უნივერსიტეტში ზღვის ყინულის დისტანციური ზონდირების სპეციალისტია.

მისივე თქმით, ყინულის შემცირებასთან ერთად, ოკეანე და ატმოსფერო მზის უფრო მეტ ენერგიას შთანთქავს, რაც არქტიკის იმაზე უფრო სწრაფ გათბობას იწვევს, ვიდრე სხვა ნებისმიერი რამისას პლანეტაზე. ეს კი აჩქარებს არა მხოლოდ ზღვის ყინულის დნობას, არამედ ამწვავებს მყინვარებისა და ყინულოვანი საფარის დნობასაც, რასაც უკვე ზღვის დონის აწევა მოსდევს.

ექსპერტების პროგნოზით, ზღვის ყოველ აწეულ სანტიმეტრზე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის საფრთხის ქვეშ დგება მილიონი ადამიანი. გარდა ამისა, მთის მყინვარები მტკნარი წყლის ძირითადი წყაროა ადგილობრივი საზოგადოებისთვის.

მონაცემების ზრდასთან ერთად, სულ უფრო სავარაუდო ხდება ის სცენარი, რომლისაც მეცნიერებს ყველაზე მეტად ეშინოდათ.

თუ ყველაფერი ამ მაჩვენებლებით გაგრძელდა, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ არქტიკაში 2035 წლისთვის ყინული აღარ იქნება.

სხვა კვლევები კი მიუთითებს, რომ გრენლანდიის ყინულის დნობამ უკვე გადალახა უკან არდაბრუნების წერტილი.

რაც შეეხება დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროს, ანტარქტიდის ყინულოვან საფარზე მოთავსებულ შელფურ მყინვართა ნახევარზე მეტი მდგრადობის დაკარგვის ზღვარზეა.

საითაც არ უნდა გავიხედოთ, დედამიწის ყინულოვანი საფარი ყოველი მხრიდან კატასტროფის წინაშეა.

კვლევა ჟურნალ The Cryosphere-ში გამოქვეყნდა.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

მომზადებულია leeds.ac.uk-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.

◎ რაც კარგია, კარგია...

ოლონდ მადლს მარილიც მოვაყაროთ

როგორც იქნა, მოხდა ის, რაც აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ხომ გსმენიათ: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

საუბარია 15 იანვრის სამთავრობო დადგენილებაზე, რომლის ძალითაც წარმატებულ ქართველ სპორტსმენთა სოციალური დაცვის მიზნით ახალი, საკმაოდ მსუყე საპრემიო შკალა განისაზღვრა, ოღონდ ამ ეტაპზე – მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებში.

კერძოდ, ამიერიდან გაორმაგებულ ყოველთვიურ სტიპენდიას – 2000 ლარს – 1000-ის ნაცვლად მიიღებენ ოლიმპიური და პარალიმპური ჩემპიონები, აგრეთვე საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები. რაც შეეხება აღნიშნულ ღონისძიებათა პრიზიორებს, ფინალისტს 800 ლარი გადაეცემა, ხოლო მესამეადგილოსანს – 500 ლარი.

დავძენთ, რომ აწი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა მიღწევებიც დაფასდება – შესაბამისად 800 და 400 ლარით.

ვიმედოვნებთ, იმ დღესაც მოვესწრებით, როცა ვინმეს ტრიუმფატორთა აღმზრდელ მწვრთნელთა ამაგიც გაახსენდება.

ბადრი იაშვილი

◎ ტატამის ხიბლი

ტოკიოს ზღურბლთან

გორში მიმდინარე შეკრების დღეებში საქართველოს ძიუდოისტ ქალთა ნაკრების მწვრთნელებმა – გია თენაძემ და კახა მოცრაძემ უახლოესი სამი თვის კალენდარი დაადგინეს: თელ ავივისა და თბილისის „დიდი მუზარადები“, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატი (აუცილებლად) და ტაშკენტისა და ანტალიის „დიდი მუზარადები“ (სავარაუდოდ). ყველაფერი ტოკიოს ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების საჭიროების მიხედვით დაზუსტდება.

ჩამოთვლილთაგან პირველ ტურნირზე ისრაელში „ჯვაროსანთა“ შემდეგი ხუთეული გამოვა ტატამზე: ტატიანა ლევიცკა-შუკვანი, მარიამ ჯანაშვილი (ორივე – 52), ეთერ ლიპარტელიანი (57), მარიამ ჭანტურია (70) და სოფიო სომხიშვილი (+78 კგ).

ჩვენი გუნდი აღქმულ მიწაზე 9 თებერვალს გაემგზავრება.

აღსანიშნავია, რომ იაპონურ ფორუმზე გამოსვლის რეალურ შანსს ინარჩუნებენ ლევიცკა-შუკვანი და, განსაკუთრებით, ლიპარტელიანი, რომელსაც ორი უშუალო კონკურენტი დოპინგ-ტესტზე ჩავარდნის გამო დაუსაჯეს დისკვალიფიკაციით, ხოლო მესამემ ტრავმის გამო შეწყვიტა ლიცენზიისთვის ბრძოლა.

არის კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი: ზედმეტი წონის პრობლემის დაძლევის შემდეგ ვარჯიშები განაახლა ტიტულოვანმა ვეტერანმა მზია ბებოშვილმა.

გეჟან დოლიძე

◎ ოლიმპიზმი

პრევენციის მიზნით

მართალია, იაპონიის მთავრობა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და აცხადებენ, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო წლეულს 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე გადმოტანილი ტოკიოს თამაშების გამართვას ხელს ვერაფერი შეუშლისო, მაგრამ, ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს და ყველაფერია მოსალოდნელი.

სწორედ გაუთვალისწინებელ გარემოებათა პრევენციის მიზნით, საყურადღებოდ გვესახება ფლორიდის შტატის ფინანსური ოფისის თავკაცის **ჯიმი პატრონისის** მიერ სოკ-ის პრეზიდენტ თომას ბახისადმი გაგზავნილი წერილი – **იქნებ განიხილოთ საზაფხულო ფორუმის ამომავალი მზის ქვეყნიდან ამერიკაში გადმოტანის ვარიანტიო.**

ტელეკომპანია NBC-ის ეთერში გაჟღერებული საკუთარი მოსაზრების საფუძვლიანობას მაღალჩინოსანი იქაური სასტუმროების განვითარებული ინფრასტრუქტურითა და სატრანსპორტო ქსელით, ასევე სპორტული ობიექტების სიმრავლით ასაბუთებს.

მართლაც, იქნებ ღირდეს დაფიქრებად?

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვარიანტი

მას შემდეგ, რაც რამდენიმე სავარაუდო კანდიდატთან, მათ შორის უკრაინელ სერგეი რებროვთან გამართული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, არაა გამორიცხული, მოახლოებულ შესარჩევ ციკლში საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს დროებითი მწვრთნელი დაუნიშნონ.

ამის შესახებ სფფ-ის აღმასკომის სხდომის შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ გადაცემა „ტაიმ აუტში“ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით მუჯირმა** განაცხადა.

ყველაფერი დროებითია

მართლაც, თუ კაცობრიობის ისტორიას სხვა მრავალ წარმავალთან ერთად დროებითი მთავრობებიც ახსოვს, ასეთი ვარიანტის განხილვის შესაძლებლობა რაღა გასაკვირია?

აღნიშნულ სხდომაზე გადაწყდა აგრეთვე, რომ დამდეგ სეზონში ქვეყნის ჩემპიონატის ეგიდით ჩატარებულ შეხვედრებში „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა – 2-ის გუნდებს 5-5 ცვლილების განხორციელების უფლება მიეცემათ

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად ქუთაისის აკადემია გვესახება, რომლის მშენებლობაც (4 სათამაშო მოედანი, განათება, ტრიბუნები, ადმინისტრაციული შენობა, გასახდელები, საშხაპეები) უეფას დახმარებით განხორციელდება.

გიორგი შოთაძე

◎ გვეღირსა!

რამდენიმე დღეც და...

მოახლოვდა 7 თებერვალი, როცა „მიხეილ მესხის სტადიონზე“ 15 საათზე, ბოლოსდაბოლოს, კორონავირუსის პანდემიის გამო რამდენჯერმე გადადებული სარაგბო ერთა თასის დასკვნითი ტურის შეხვედრა დაიწყება: საქართველო – რუსეთი.

„ბორჯღალოსნები“ შეკრებაზე „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე უკვე ერთი კვირაა სამშობლოში მოთამაშე შემდეგი კონტინგენტით გადავიდნენ:

შერკინება – ბრეგვაძე, ჭყოიძე, ჭეიშვილი, გუშარაშვილი, გაჩეჩილაძე, სუხაშვილი, თხილაიშვილი.

უკანა ხაზი – მარგალიტაძე, მატკავა, ბაბუნაშვილი, ხმალაძე, თაფლაძე, შარიქაძე, ლომიძე, მამამთავრიშვილი, თოდუა, ტაბუცაძე, მოდებაძე, კოხოძე, სვანიძე, ნინიაშვილი, მათიაშვილი.

გაფართოებული შემადგენლობა სრულ სახეს ლეგიონერთა ჩამოსვლის შემდეგ მიიღებს და გუნდის თავკაცი **ლევან მაისაშვილიც** საბოლოო არჩევანს სწორედ მაშინ გააკეთებს.

ამასობაში სტუმართა უელსელმა მთავარმა მწვრთნელმა **ლი ჯონსმა** მრავლისმეტყველი განცხადება გააკეთა: **„ძალა და გამოცდილება მასპინძელთა მხარესაა, ამიტომ, ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, მსურს ვლადიმერ პუტინს შევხვდე, რათა, როგორც იური გაგარინს, გმირის წოდება მომენიჭოს“.**

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ცნობისთვის: მეტოქემ აქამდე თითქმის 30 წლის განმავლობაში გამართული შეხვედრებიდან ერთადერთხელ – 1992 წელს პოლონურ საფესტივალო ქალაქ სოპოტში მოგვიგო პირველივე ბრძოლა და ერთხელაც თბილისში მიაღწია ფრეს, დანარჩენ მატჩებში კი უიმედოდ მარცხდება და, ბუნებრივია, თავმოყვარეობაშელახულია...

კობა კობახიძე

◎ ამგიცია

იქნებ, შეძლოს...



„ახალ სეზონში ესპანელის დამარცხებას სწორედ მის საყვარელ თიხნარის საფარზე ვგეგმავ“ – თამამად აცხადებს მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი სტეფანოს ციციპასი. აქამდე გამართული მათი რვა ბრძოლიდან ბერძენმა მხოლოდ ერთი მოიგო.

მოგეხსენებათ, რაფაელ ნადალმა როლან გაროსზე 15-წლიანი თამაშის განმავლობაში მხოლოდ ორი შეხვედრა წააგო – რობინ სოდერლინგთან და ნოვაკ ჯოკოვიჩთან – და 13 ტიტული მოიპოვა, რის გამოც დამსახურებულად შერაცხეს გრუნტის მეფედ.

ვიტალი ჯაფარიძე

რეზო სტურუა

ადამიანი, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში შექმნა და დაგვიტოვა მაგალითი, თუ როგორი შეიძლება იყოს მეგობარი

ძნელია წარმოიდგინო, აღიქვა, რომ 40 დღის უკან სამეგობროს და მთლიანად საზოგადოებას გამოგვაკლდა **რეზო სტურუა**, ადამიანი, რომელიც იყო განუსაზღვრელი სიკეთის მთესველი არა მარტო ტექნიკური უნივერსიტეტის, არამედ მისი სანათესაოს თუ სამეგობროს მიმართ;

მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდენილად და საზრიანად უზიარებდა თავის ცოდნას და გამოცდილებას ნებისმიერ აუდიტორიას. შინაგანი სიმშვიდე, იუმორის გრძნობა, ადამიანური მოვალეობების პრინციპები, ღირსების დაცვა მისი ბუნებრივად განუყოფელი ნაწილი იყო;

არასოდეს აურიდებია თავი ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისათვის.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაუღალავად იბრძოდა სიახლეების ძიებისთვის.

ყველა ზემოთხსენებულ სულიერ სიკეთეებთან ერთად, რეზომ თავისი საოცრად ფაქიზი, ამაღლებული და ღრმა ანალიტიკური მგრძნობელობის სულის გამოხატულებად, თავისი საოცარი ლექსები დაგვიტოვა, სავსე სიყვარულით, ერთგულებით, ფიქრითა და მზრუნველობით სრულიად საქართველოს მიმართ.

უსაზღვროდ მადლიერი ვარ ჩემი ბედისა, რადგან წილად მხვდა ბედნიერება ათეული წლების განმავლობაში ვყოფილიყავი მისი მოსწავლე და შემდგომში, მთელი ცხოვრება, უმცროსი მეგობარი, გვქონოდა განუსაზღვრელად დიდი ადამიანური ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, ერთგულება.

ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ისევ ისეთი შეუცვლელი დარჩები მეხსიერებაში, როგორც ათეული წლების განმავლობაში – სამაგალითო, მისაბაძი და მზრუნველი უფროსი მეგობარი.

უზარმაზარი სიცარიელე გაჩნდა ჩემს გარშემო შენი ამ ქვეყნიდან წასვლით, შენ იყავი დიდი იმედი, ისე, როგორც ჩემი სულიერი მამა.

ქედს ვიხრი შენს წინაშე.

უფალმა დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

ღრმა პატივისცემით,

ბიძინა სონღულაშვილი

ლიანა ფურცელაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა კიდევ ერთი ძირძველი თანამშრომელი დაკარგა – მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის მელიორაციის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლიანა ფურცელაძე. წავიდა თავისებურად – ჩუმად, წყნარად, უპრეტენზიო და ღიმილიანი დაამახსოვრა თავი ყველას, კეთილმოსურნე და ურთიერთობაში ყველასთან ერთნაირად მშვიდი და პოზიტიური.

ქალბატონი ლიანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის (1957-1962) დამთავრებისთანავე იწყებს და მთელი ცხოვრება აგრძელებს მუშაობას მის მშობლიურ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (იმჟამინდელ საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში). იგი უფროსი ტექნიკოსის თანამდებობიდან დაწყებული უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობამდე მუშაობის პერიოდში ასევე იყო არქივის გამგე და ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილების გამგე. 1985 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და – 1994 წლიდან 2006 წლამდე პარალელურად, ღირსეულად ასრულებდა ინსტიტუტის სწავლული მდივნის ფუნქციასაც. გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: სტატიები, მონოგრაფიები, მონაწილეობდა მრავალ სამეცნიერო გრანტში...

კიდევ ერთი ლამაზი ქალბატონი და შრომისმოყვარე მეცნიერი დააკლდა თბილისს, დასანანია ძველი თაობის გამოცდილი წარმომადგენლის წასვლა იმქვეყნად. ვერ დავემშვიდობეთ და ვერ მოვრთეთ მისი საფლავი ლამაზი ყვავილებით, მაგრამ მისმა ამ ქვეყნიდან წასვლამ ღრმა პატივისცემა და უსაზღვრო სინანული დაუტოვა მის ოჯახს, კოლეგებს, მეგობრებს.

გემშვიდობებით ქალბატონო ლიანა, მაგრამ ჩვენ მუდამ გვემახსოვრებით, ღიმილით, სევდით და იმ სითბოთი მოგიგონებთ, რომელიც ყველას გულებში დატოვეთ. ღმერთმა დაამკვიდროს თქვენი სული ცათა სასუფეველში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

გურამ ახობაძე

აქაურ, მიწიერ ცხოვრებას ჩვენთან ერთად აღარ იზიარებს ჩვენი გურამი.

მეორმოცე დღეს ზეცაში წყდება ადამიანის სამუდამო სამყოფელი.

დარწმუნებული ვართ, გურამის სული მართალთა შორის იქნება განწესებული. დარწმუნებულები კი იმის გამო ვართ, რომ აქ, მიწაზე გურამი მხოლოდ სიყვარული იყო. გურამის არსებობა მუდამ სიცოცხლის, იმედის, სიყვარულის მომცემი იყო გარშემო მყოფთათვის. ყოველი ადამიანისათვის დამახასიათებელი ადამიანური სისუსტეების მიუხედავად, მას შეეძლო მოვლენებზე მაღლა დამდგარიყო და სიმშვიდე და სიხარული მოეტანა ირგვლივ.

ბუნებით დაყოლილი ეფექტური გარეგნობით, გონებით, უაღრესად დიდი იუმორით, ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარულით, გურამს საზოგადოებაში მუდამ გამორჩეული მდგომარეობა ჰქონდა გარანტირებული.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს თავისი ცხოვრების მანძილზე მრავალ საინტერესო და საპასუხისმგებლო ადგილზე მოუწია მოღვაწეობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საქმიანობა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის ამპლუაში, სადაც მან 30 წელზე მეტი გაატარა. იგი ერთგულად ედგა გვერდით ქართული ხელოვნების დიდ მოღვაწეებს.

მოულოდნელი იყო მისი წასვლა. უზარმაზარი გულისტკივილია მისი ახლობლებისათვის — მეუღლის, შვილების, შვილიშვილების, დის, რძლის, ნათესავებისა და მეგობრებისათვის.

ერთადერთი, რითაც ვინუგეშებთ თავს, იმის გააზრებაა, რომ სამყაროში ყოველივეს განაგებს უფალი.

უფალს ებარებოდე, ჩვენო გურამ!

მეგობრები

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი

იაშა ტაბატაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იაშა ტაბატაძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო – ტექნოლოგიური მოღვაწეობა სისხლხორცეულად არის დაკავშირებული სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან, სადაც 1975 წლიდან დღემდე მუშაობდა.

შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესში ის იყო ინსტიტუტის მნიშვნელოვანი პროექტების მონაწილე, მან შეასრულა 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ღრმად არის გამოკვლეული თერმოელექტრული და ოპტოელექტრონული დანიშნულების სილიციუმ-გერმანიუმის შენადნობების ელექტროფიზიკური თვისებები.

ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან მკვლევარი — ექსპერიმენტატორი, შესანიშნავი მოქალაქე იაშა ტაბატაძე. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სპეტაკი სული.

ბათუმში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მუნიციპალური ინსპექცია მკაცრობს!

ამის შესახებ ინფორმაციას ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, მუნიციპალურ ავტობუსებში მოწმდება როგორც პირბადის სწორად გამოყენება, ასევე უბილეთოდ მგზავრობა.

მიკროავტობუსებში პირბადეების გარდა, მძღოლები ფეხზე მდგომი მგზავრების გადაყვანისთვისაც დაჯარიმდებიან.

მონიტორინგს, მუნიციპალური ინსპექციის ჯგუფები, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა ლოკაციაზე ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელებენ.

სულთათანა

თემურ წიკლაური – შეუცვლელი მარად და მარად...

კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა ჩვენს რიგებს, ჩვენს ქვეყანას.

თემურ წიკლაურის სახით წავიდა მეგობრებზე, ახლობლებზე და სრულიად ქვეყანაზე შეყვარებული, მოფიქრალი, მოამაგე და გულანთებული კაცი; კაცი, რომლის საზოგადოების ნებისმიერ წრეში გამოჩენა პატივისცემას და მოკრძალებას იმსახურებდა. ძნელია ილაპარაკო ადამიანზე, რომელსაც ცხოვრებამ მძიმე განსაცდელებით აღსავსე გზა არგუნა წილად, მაგრამ ბუნებისაგან ბოძებული უბადლო ნიჭის, მტკიცე ხასიათისა და ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით დიდ საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

მასთან ურთიერთობა და ყოველი გატარებული წუთი უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა, შეუპოვარი ცხოვრების მაგალითს გვაძლევდა და მომავლის ურყევ სტიმულს გვინერგავდა.

მეგობართა იმ წრემ, რომელიც მისი ინიციატივით შეიქმნა და თვითონვე „მეგობრობის აკადემია“ შეარქვა, თითქმის 25 წელი იარსება. დიდი პატივი იყო ასეულობით დღე და ათასეულობით საათი ერთად გატარებული დროისა, ბჭობა ტრადიციების, ღირსების, ღირებულებების დაცვაზე, ქვეყნის კეთილდღეობაზე ... ყოველივე ეს ჩვენს მეხსიერებაში წმინდათა წმინდა მოგონებად დარჩება.

თემურის ამ ქვეყნიდან წასვლამ დიდი სიცარიელე და შეუხორცებელი იარა დაგვიტოვა.

ქედს ვიხრით მის წინაშე.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

მეგობრები

პროფესორი ჰუბერტ ბლუმი, ვასილ ბოლაშვილი, ტარიელ ღარიბაშვილი, თამაზ თამაზაშვილი, პაატა ბოლაშვილი, ბიძინა სონღულაშვილი, ნუგზარ მაღულარია, გელა მჭედლიშვილი, მერაბ აბულაშვილი ოჯახებით იუწყებიან

თემურ წიკლაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„შინდისი“ ოსკარისთვის იბრძოლებს

7 თებერვალს, 22 საათზე „რუსთავი 2“-ის ეთერში დიტო ცინცაძის სამხედრო დრამის, „შინდისის“ პრემიერა გაიმართება.

2019 წელს გადაღებული ფილმი რუსეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთ ეპიზოდს ეხება. 17 გმირის ისტორია, რომელიც უთანასწორო ბრძოლაში 11 წლის წინ დაიღუპა, დიმიტრი ცინცაძის ფილმის „შინდისი“ მთავარი თემაა. ეს კინოსურათი ოსკარისთვის იბრძოლებს. მანამდე კი ფილმი სხვადასხვა საერთაშორისო პრიზების მოპოვებას განაგრძობს.

ფილმი „შინდისი“ რეალურ ამბავზეა დაფუძნებული. ისტორია კი 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისში განვითარდა, მაშინ, როდესაც საქართველოს მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეულს რუსეთის 58-ე არმიის მოტომსროლელთა ასეული დაესხა თავს. უთანასწორო ბრძოლაში რუსული საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა 17 ქართველი სამხედრო მოკლეს. სწორედ ეს ისტორია გახდა რეჟისორის შთაგონების წყარო.

სურათში მთავარ როლებს გოგა პიპინაშვილი, დათო ბახტაძე, თამარ აბშილავა და გიორგი ხურცილავა ასრულებენ. ფილმი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით არის გადაღებული.

„შინდისი“ უკვე რამდენიმე ჯილდოს მფლობელია. ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი ბოლოს ჰოლივუდში იმყოფებოდა, სადაც რეჟისორ დიმიტრი ცინცაძეს, აზიური ფილმების მსოფლიო ფესტივალზე, საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადასცეს. 2019 წელს საქართველომ ფილმი ოსკარზე წარადგინა.

მანავის ციხესთან – განახლებული გზით

მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა, – ამის შესახებ ინფორმაციას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

პროექტი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომლის მიზანია ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის.

სამუშაოებს კომპანია „დინ გრუპი“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 1260 000 ლარია, რომელიც როგორ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე საგრანტო თანხით არის დაფინანებული. 1 664 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთით 80-მდე ოჯახი ისარგებლებს.

თანამედროვე ხელოვნების სივრცე „მზიურში“

საბავშვო ქალაქ „მზიურში“ მდებარე ყოფილი საბაგიროს შენობა თანამედროვე ხელოვნების სივრცედ გარდაიქმნება. სარეკონსტრუქციო სამუშაოები გუშინ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დაათვალიერა.

თბილისის მერიის ცნობით, რეაბილიტაციის ფარგლებში, შენობა იერსახეს შეინარჩუნებს და ფუნქციურადაც ათვისებული იქნება. საბაგიროს შენობაში თანამედროვე ხელოვნების გალერეა მოეწყობა.

„ჩვენ დავიწყეთ კიდევ ერთი პროექტის განხორციელება „მზიურის“ პარკში. შარშან დავასრულეთ პარკის სრული რეაბილიტაცია და დავპირდით მოსახლეობას, რომ ეს ნაგებობა – საბაგიროს ყოფილი შენობა, რომელიც წლების განმავლობაში უმძიმეს მდგომარეობაში იყო, მოწესრიგდებოდა და აღდგებოდა. მინდა, ანა გოგუაძეს მადლობა გადავუხადო ამ პროექტის და „მზიურის“ პარკის გულშემატკივრობისთვის. ანა თავიდანვე ჩართული იყო პროექტის დაგეგმარებაში. აპრილში პროექტი უკვე დასრულებული იქნება და საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა, ისარგებლონ ამ სივრცით“, – განაცხადა კახა კალაძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 4 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3048; ევრო - 3.9909;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5296;
100 რუბლი - 4.3625; თურქული ლირა - 0.4582;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9419;
1000 სომხური დრამი - 6.3759.

ამინდი 3 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+16
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge